

სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიებში ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესები

სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტების / მიმართულებების თანამშრომლების ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხო საქმიანობისათვის ვალდებული არიან:

1. ლაბორატორიაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლაბორატორიის ხელმძღვანელს ან/და ბრძანებით გამოყოფილ პირს.
2. ხანგრძლივი შესვენების (1 საათზე მეტი) დამთავრების შემდეგ გამორთოს ელექტრო ხელსაწყოები (კომპიუტერების, მაცივრების და ფაქსის აპარატის გარდა) ჩამრთველი ჩანგლი ელექტრო როზეტიდან;
3. გათიშოს დენის წყაროდან სათავსში არსებული, მის გამგებლობაში არსებული ელექტროდანადგარები და ხელსაწყოები;
4. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ლაბორატორიის, ოთახის, სათავსის, დაკეტვის წინ ჩაატაროს მათი დათვალიერება, დახუროს ყველა სარკმელი, გამორთოს ყველა ელექტროხელსაწყო და განათება;
5. ადვილაალებადი და აალებადი სითხეების და აქროლადი/აალებადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში (ზღვრული ოდენობა).
6. ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, ცეცხლგამძლე კარადებში.
7. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“, „ფეთქებად და ხანძარსაშიში“, „შხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“.
8. ლაბორატორიის სათავსებში ადვილაალებადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და სპეციალურ ტარაში.
9. ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს მომწამლავ, ფეთქებადი და ხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში.
10. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადებში, რომლებსაც აქვთ გაუმართავი ვენტილაცია.
11. ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილაალებად და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე

ხანძარფეთქებადსაშიმ ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწყვი მასალებისაგან.

12. დაუშვებელია ადვილაალებადი და აქროლადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა.
13. ხანძარსაშიმ სათავსებსა და ხანძარფეთქებად საშიმ მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.

ზოგიერთი ნივთიერებების შენახვის წესები:

14. წითელი ფოსფორი უნდა ინახებოდეს მჭიდრო საცობის ან ხუფის მქონე მინის ან ლითონის ტარაში;
15. წყალბადის ზეჟანგი (30%-იანი) - ლითონის კონტეინერში მოთავსებულ კორპის საცობიან მუქი ფერის მინის ჭურჭელში.
16. წითელი ფოსფორი და წყალბადის ზეჟანგი შეიძლება ინახებოდეს ნეიტრალურ მარილებთან (კარბონატები, სულფიდები) ერთად დამჟანგველების, ლითონის ფხვნილებისა და ტუტელითონებისაგან განცალკევებით.
17. ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და მომწამლავ, ხანძარსაშიმ თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.
18. დაუშვებელია აზოტის და გოგირდმჟავას შენახვისას მათი შეხება ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან.
19. სათავსებში, სადაც ინახება ხანძრის დროს ადვილად ლღობადი ქიმიური ნივთიერებები, უნდა იყოს გათვალისწინებული ნალღობის თავისუფალი გავრცელების ზღვარი.

თანამშრომლებს ეკრძალებათ:

- ა) ლაბორატორიაში, და ოთახებში ადვილად აალებადი, ცეცხლწარმომქმნელი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა/დასაწყობება;
- ბ) საკვების შეტანა ლაბორატორიაში;
- გ) თამბაქოს მოწევა შენობაში;
- დ) ოთახებში ღია ცეცხლის გამოყენება;
- ე) ოთახის გათბობის მიზნით ღია სპირალის მქონე ელექტრო გამათბობლების გამოყენება;
- ვ) ქსელში ჩართული ელექტროხელსაწყობების უმეთვალყურეოდ დატოვება.
- ზ) ხანძრის თავიდან აცილების მიზნით დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება გაუმართავ მოწყობილობებზე, დანადგარებსა და აგრეგატებზე, აგრეთვე,

გამორთულ საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებს და ტექნოლოგიურ ავტომატიკაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ტემპერატურის, წნევის და სხვა პარამეტრების უსაფრთხოების პირობით რეგლამენტირებული მოცემული რეჟიმების კონტროლს.